კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ქართული კომპანიების განვითარების გზაზე

სოფიკო თედეშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე მჭედლიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო თედეშვილი

თარიღი: 01/06/2023

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია CSR-ის (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა) როლი და მნიშვნელობა ქართული კომპანიებისთვის, მათი განვითარების გზაზე. დღევანდელ მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია ინტერესდება და უფრო მეტიც, CSR გახდა კიდეც ბიზნესის განუყოფელი ნაწილი. კვლევის მიზანიც სწორედ იმაში მდომარეობს, რომ გაირკვეს, რა გავლენას ახდენს CSR ქართული კომპანიების განვითარებაზე.

ნაშრომში წამოჭრილი ჰიპოთეზის გადამოწმება მოხდა ორი რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე. ერთი კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპანიებში დასაქმებულმა თანამშრომლებმა, ხოლო მეორე კვლევაში საქართველოს ბაზარზე არსებულმა მომხმარებლება. პირველ კვლევაში მონაწილეობდა 116 რესპონდენტი, ხოლო მეორე კვლევაში მონაწილეობდა 128 რესპონდენტი.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა ანალიზი, რომლის საფუძველზეც დადასტურდა ნაშრომში წამოჭრილი ჰიპოთეზა, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქართული კომპანიების განვითარებაზე.

ნაშრომში განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საჭიროების და მნიშვნელობის შესახებ წამოყენებული თეორიები, რომლებიც საბოლოოდ გამყარებულია კვლევებით. ასევე წარმოჩენილია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც საქართველოში CSR-ის ფარგლებში შეიქმნა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადი განვითარება, თანამშრომელთა ლოიალურობა.

Abstract

The paper discusses the role and importance of CSR (Corporate Social Responsibility) for Georgian companies on their development path. In today's world, more and more companies are interested in corporate social responsibility, and moreover, CSR has become an integral part of business. The purpose of the research is to find out what impact CSR has on the development of Georgian companies.

The hypothesis raised in the paper was verified on the basic of two quantitative studies. Employees employed in Georgian companies took part in one study, and consumers in the Georgian market took part in the second study. 116 respondents participated in the first survey, and 128 respondents participated in the second survey.

Based on the results of research, an analysis was made, on the basis of which the hypothesis raised in the paper was confirmed, that corporate social responsibility has a significant impact on the development of Georgian companies.

The paper discusses the theories put forward about the need and importance of corporate social responsibility, which are finally supported by research. Also presented is information about the events carried out within the framework of corporate social responsibility and about the organizations that were created within the framework of CSR in Georgia.

Key search words: corporate social responsibility, sustainable development, employee loyalty.